თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს ბიუროს სხდომის
ო ქ მ ი № 5

1 მარტი 2023 წელი

ქ.თერჯოლა

ა5. ჭანტურიძის ქ. №7

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. დავით გოგბერაშვილი, 3. ჯემალ ისაკაძე, 4. ბადრი ბუცხრიკიძე, 5. ბიძინა ბუცხრიკიძე, 6. შალვა ჭანკვეტაძე, 7. კახა ბუცხრიკიძე.

სხდომას აე ეწრებოდნენ: 1. ნინო ჩხიკვაძე, 2. თემურ ქოჩიაშვილი, 3. გრიგოლ გიორგაძე, 4. გოჩა ვერულაშვილი, 5. ტარიელ ფანჩულიძე

საკრებულოს ბიუროს სიითი შემადგენლობა: 12 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა: 7
კვორუმი: 7 წევრი

დღის წესრიგი:

1. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის N 27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის № 28-2823058104 წერილი, 27.02.2023 წ);

   მომხს. გ.ბარათაშვილი
   თანამომხს.: ავ. ურიდამყოფელი

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის № 28-28230377 წერილი, 06.02.2023 წ);

   მომხს. გ.ბარათაშვილი
   თანამომხს.: ავ. ურიდამყოფელი

3. ქ. თერჯოლაში ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ არსებული სკვერისათვის ლაშა გოგიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ (საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წერილი № 01/348, 20.02.2023 წ);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

4. თვითმმართველი თემის-თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 29 აპრილის რიგგარეშე არჩევნებთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მიერ გასატარებელ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ;

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

5. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (გოდოგანში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 116602.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ № 33.03.40.294) 2000.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (წარმოდგენილი საიჯარო ფართობის მდებარეობის სიტუაციური ნახაზის მიხედვით) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 2 წლის ვადით გასხვისებაზე) (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის წერილი № 28-282305884, 27.02.2023 წ.);

6. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის Nგ-29.292301115 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის წერილი № 28-282305887, 27.02.2023 წ.).

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 7, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, მერიის საფინანსო-საბიუჯეტოს სამსახურის უფროსმა ავთანდილ ურიადმყოფელმა ბიუროს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის N 27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია მთავრობის განკარგულებამ და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 350.0 ათასი ლარით და შეადგენს 27557.2 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 350.0 ათასი ლარით. (სხვა შემოსავლები (რენტა)).

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა სულ 350.0 ათასი ლარით. კომუნალური მეურნეობის განვითარება გაიზარდა 230.0 ათასი ლარით. საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა და საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება 50.0 ათასი ლარით და თერჯოლის სპორტული სკოლა და სპორტულ გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის დაფინანსება გაიზარდა 70.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 7, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, მერიის საფინანსო-საბიუჯეტოს სამსახურის უფროსმა ავთანდილ ურიადმყოფელმა ბიუროს წევრებს გააცნო ინფორმაცია თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 7 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის № 28-28230377 წერილი, 06.02.2023 წ).

3.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ ბიუროს წევრებს გააცნო ქ. თერჯოლაში ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ არსებული სკვერისათვის ლაშა გოგიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 7 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი ქ. თერჯოლაში ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ არსებული სკვერისათვის ლაშა გოგიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ (საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წერილი № 01/348, 20.02.2023 წ).

4.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ ბიუროს წევრებს გააცნო თვითმმართველი თემის-თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 29 აპრილის რიგგარეშე არჩევნებთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მიერ გასატარებელ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 7 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი თვითმმართველი თემის-თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 29 აპრილის რიგგარეშე არჩევნებთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მიერ გასატარებელ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ.

5.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ ბიუროს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (გოდოგანში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 116602.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ № 33.03.40.294) 2000.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (წარმოდგენილი საიჯარო ფართობის მდებარეობის სიტუაციური ნახაზის მიხედვით) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 2 წლის ვადით გასხვისებაზე) განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 7 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (გოდოგანში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 116602.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ № 33.03.40.294) 2000.00 კვ.მ. მიწის

ნაკვეთის (წარმოდგენილი საიჯარო ფართობის მდებარეობის სიტუაციური ნახაზის მიხედვით) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 2 წლის ვადით გასხვისებაზე) (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის წერილი № 28-282305884, 27.02.2023 წ.).

6.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ ბიუროს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის Nგ-29.292301115 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 7 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის Nგ-29.292301115 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის წერილი № 28-282305887, 27.02.2023 წ.).

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ბარათაშვილმა 2023 წლის 1 მარტის ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე
გიორგი ბარათაშვილი